სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/117

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №170 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის 2025 წლის 07 ივლისის MES 5 25 0000831948 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/48 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილებები და წესის 36-ე მუხლს დაემატოს მე-4 და მე-5 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„4. ამ წესის მე-20 და 31-ე მუხლებით განსაზღვრული შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა ვრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში განხორციელებულ იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომელთა პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი საკვალიფიკაციო გამოცდას განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად.
5. დამტკიცდეს რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული სწავლების ფორმით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პარტნიორ ორგანიზაციებთან დასადები პრაქტიკის ხელშეკრულების ფორმა (დანართი 7).“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი №7

ხელშეკრულება №

ქ. თბილისი

..... 20 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ, **სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“,** წარმოდგენილი მისი ვიცე რექტორის, თამარ წერეთლის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ, **.....** (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ..... სახით, ერთობლივად მოხსენიებული როგორც „მხარეები“,

ვინაიდან, მხარეები აცნობიერებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში პროგრამა) განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობას პროფესეული სტუდენტისთვის, რომელიც დაეხმარება მას პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციის/ების განვითარებაში, პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადოს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის,

ვინაიდან, „პროგრამის განმახორციელებელი“ გეგმავს განახორციელოს პროგრამა.....
.....

ვინაიდან, „შემსრულებელი“ მზადყოფნას გამოთქვამს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს „პროგრამის განმახორციელებლის“ მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ..... პროფესიული სტუდენტებისათვის ამ ხელშეკრულების **დანართი №1-ით** განსაზღვრული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა.

2. პრაქტიკის განხორციელების პირობები

2.1. „შემსრულებელი“ პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღებს ერთდროულად არაუმეტეს ..... პროფესიულ სტუდენტს (ჯამში ..... სტუდენტი) მისამართზე: .....

2.2. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების დაწყებამდე ორი კვირით ადრე პროგრამის განმახორციელებელმა, პრაქტიკის ობიექტს წერილობით უნდა წარუდგინოს პრაქტიკანტი პროფესიული სტუდენტების სახელობითი სია და შეატყობინოს საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობის შესახებ.

3. „დამკვეთის“ უფლება-მოვალეობანი

3.1 „დამკვეთი“ ვალდებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის ვადები და გრაფიკი დროულად მიაწოდოს პრაქტიკის ობიექტს ყველა ინფორმაცია, რაც აუცილებელია პრაქტიკული კომპონენტის სათანადო დროში და მაღალი ხარისხით განხორციელებისთვის.

3.2 „დამკვეთს“ უფლება აქვს შეამოწმოს პრაქტიკის კომპონენტის მიმდინარეობა და ხარისხი პრაქტიკის ობიექტის საქმიანობაში ჩარევის გარეშე;

3.3 პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება ამ ხელშეკრულების დანართი №3-ის შესაბამისად.

3.4 „დამკვეთი“ იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი „შემსრულებლის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრაქტიკანტების ბრალით დაზიანების შემთხვევაში.

3.5 ,,დამკვეთი“ უფლებამოსილია, „შემსრულებლის“ მხრიდან არსებული ვაკანსიის თაობაზე ინფორმირების შემთხვევაში, გაავრცელოს იგი პროფესიულ სტუდენტთა შორის, მოახდინოს მსურველთა აღრიცხვა და მიიღოს მონაწილეობა შერჩევის პროცესში.

4. შემსრულებლის უფლებები და მოვალეობები

4.1. ,,შემსრულებელი“ ვალდებულია მიიღოს შერჩეული პროფესიული სტუდენტები და გააცნოს ობიექტის შინაგანაწესი და უსაფრთხოების დაცვის წესები;

4.2. უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით, საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა წვდომა/დაშვება საწარმოს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან (ან საშუალებებთან), რომლის გამოყენებაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად (დანართი №2-ით განსაზღვრული აღჭურვილობები).

4.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პერიოდში გამოყოს პირი, რომელიც ჩართული იქნება პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის პერიოდში.

4.4. ყოველგვარი ბუნდოვანების გამოსარიცხად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები არ გულისხმობს შემსრულებლის ვალდებულებას პროფესიული სტუდენტის შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით.

4.5. ,,შემსრულებელი“ უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთსა და მის პროფესიულ სტუდენტს (ხოლო ეს უკანასკნელი თავი მხრივ იღებს ვალდებულებას) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

4.6. ,,შემსრულებელი“ უფლებამოსილია პრაქტიკული კომპონენტის დასრულების შემდგომ ნებისმიერ დროს გაუკეთოს პროფესიულ სტუდენტს დასაქმების შეთავაზება.

5. ფორს-მაჟორული გარემოებები

5.1. თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

5.2. ფორსმაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით.

6.2. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) დამკვეთის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

ბ) შემსრულებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში;

გ) მხარეთა შეთანხმებით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

6.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

6.4. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

6.5. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ყველა უთანხმოება უნდა მოწესრიგდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

6.7. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მეშვეობით.

6.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ს/კ 211349192 მისამართი: ქ.თბილისი 0171, მ. კოსტავას ქ.№77 ტელ.: (032) 277 11 11 დაწესებულების ხელმძღვანელი _____	 დირექტორი _____

ხელშეკრულების დანართი №1

№	**პროფესიული მოდული/ები**	
	დასახელება	საათი
1		
2		
3		
4		
5		

ხელშეკრულების დანართი №2

№	აღჭურვილობის დასახელება	რაოდენობა	სპეციფიკაცია (არსებობის შემთხვევაში)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			

ხელშეკრულების დანართი №3

პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა შეფასდეს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. შემფასებელი პირი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება.
2. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის შემდეგ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
3. თუ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.
4. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი (არსებობის შემთხვევაში) და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება (არსებობის შემთხვევაში).
5. სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკული კომპონენტის ათვისების დროს პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:
   5.1. სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი ცხრილის მიხედვით დროულად გამოცხადდეს წარმოებაში;
   5.2. დაემორჩილოს წარმოების შინაგანაწესს და განუხრელად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
   5.3. ინსტრუქტორის მითითების შესაბამისად შეასრულოს დავალებები სამუშაოების წარმოებისას;
   5.4. ყოველდღიურად აწარმოოს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების დღიური დადგენილი წესის შესაბამისად. ჩანაწერების დღიური აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში. ჩანაწერების დღიური წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას;
   5.5. შეაგროვოს შეფასების ვალიდური მტკიცებულებები (ვიდეო, ფოტო-სურათები, დაკვირვების ფურცელი ანუ „ჩეკლისტი“ და სხვ.);
   5.6. პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების დღიურს გადასცეს მოდულის თეორიული ნაწილის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.